http://kanceleria.cloud.gov.ge/nomfileserver/Kan/file/file?id=21783

KA021783467759717

სახელმწიფო ქონების
ეროვნული საagentო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N13/60579

17 / ნოემბერი / 2017 წ.

სსიპ წყალტუბის მუნიციპალიტეტის
ხოფელ გუმათის საჯარო სკოლას

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მოქმედებს 08.11.2017წ. NMES 5 17 01371123 წერილის საფუძველზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასმული საკითხის მასზეა გაცნობები, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მოქმედებების გენტრი ან ანის წარმოადგენი სსიპ წყალტუბის მუნიციპალიტეტის ხოფელ გუმათის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ უძრავ ნივთებზე ქონების ფლობის ფლობილ ქონების საკადასტრო კოდი N29.03.34.021 განთავსებული, ამოიტანილია შენობის ჩამოწერა ... ინსტიტუციურ გამოყენებულია საკუთრებლის ფლობის 22.03.2010 წლის N82 და 13.08.2010 წლის N239 დადგენილებების ნაბიჯებისა.

ირაკლი-ალექსანდრე ქანდელაკი
ეროვნული ქონების ეროვნული სააგენტოს
იმერეთ-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის
ტერიტორიული ორგანოს

მიოანდა კეთილაძე

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
MAYOR OF TSKALTUBOS MUNICIPALITY

N 31/5759
01/12/2017

5759-31-2-201712011835

იმერეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს ბატონ მამუკა ჩხეტიანს

ბატონო მამუკა,

თქვენი, 2017 წლის 29 ნოემბრის №MES 8 17 01455088 წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვთ სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე თანხმობას, გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია წინააღმდეგი არ არის განახორციელოთ შენობის სრული დემონტაჟი კანონისა და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.

პატივისცემით,

გრიგოლ იოსელიანი

მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 4 17 01356417

03/11/2017

წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 12/09/2017 წლის N1056267 და 02/11/2017 წლის N1348016 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლამ, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 21/09/2017წ. N1121852 წერილის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ბალანსზე რიცხული ამორტიზებული შენობის ჩამოწერა და დემონტაჟი განახორციელოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2010წ. 22 მარტის N82 და 2010წ. 13 აგვისტოს N239 დადგენილებებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სადემონტაჟო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შენობის დემონტაჟთან დაკავშირებული ყველა ეტაპი და საორგანიზაციო საკითხები უნდა შეთანხმდეს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დემონტაჟის დასრულების შემდგომ, საჯარო სკოლამ უნდა განახორციელოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს საქართველოს განათლებისა და მენიერების სამინისტროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია მშენებლობის პროცესი, ზემომოთხოვნილი ცვლილებები უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ და სამინისტროში წარმოდგენილ იქნას საჭირო დოკუმენტაცია.

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

მამუკა ბერიძე

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

MES 3 17 01436606

24/11/2017

წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს ბატონ მამუკა ჩხეტიანს

ბატონო მამუკა,
თქვენი N1432157 წერილის საფუძველზე ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათის საჯარო სკოლისათვის მოძიებული ალტერნატიული ფართის ვიზუალური დათვალიერება.
ალტერნატიული ფართი წარმოადგენს სოფლის მოსახლის თენგიზ ჯიშკარიანის საცხოვრებელ სახლს. მოსახლის 96 მ2 ფართის ერთსართულიანი სახლი (მანსარდით) წვრილი საკედლე ბლოკით და ფლეთილი ქვის წყობითაა ნაშენი. კედლები რ/ბ სარტყლითაა შეკრული. დახურვა და სხვენი ხისაა. შენობას გააჩნია შიდა სანკვანძი. სახლის ეზო კეთილმოწყობილია. სახლის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის მიწისპირა სართულის ოთახებში სასწავლო პროცესის წარმართვა დასაშვებია.
პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო
დირექტორის მოადგილე
თინაძე გიორგი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990112357578517

№10/1721 30 / ოქტომბერი / 2017 წ.

ქ. წყალტუბოს საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსს, ბატონ მამუკა ჩხეტიანს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 27.10.2017 წლის №MES 11701322600 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმათში მდებარე საჯარო სკოლის შენობა არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს და შესაბამისად, მისი დემონტაჟი არ არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

გენერალური დირექტორის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით ლომიტაშვილი